ძალაში შესვლის თარიღი: 15 ივლისი, 2026

წესები და პირობები

1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესები და პირობები (შემდგომში - **„წესები“**) არეგულირებს **BulBee**-ის პლატფორმის, ვებგვერდისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გამოყენებას.

BulBee წარმოადგენს ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმას, რომელიც აკავშირებს სტუდენტებსა და დამოუკიდებელ ტუტორებს, უზრუნველყოფს გაკვეთილების დაჯავშნას, ონლაინ კომუნიკაციასა და გადახდების ადმინისტრირებას.

BulBee-ის გამოყენებით, ანგარიშის შექმნით ან პლატფორმის ნებისმიერი ფუნქციის გამოყენებით, თქვენ ადასტურებთ, რომ:

- გაეცანით წინამდებარე წესებს;
- სრულად ეთანხმებით მათ;
- იღებთ მათ შესრულების ვალდებულებას.

თუ არ ეთანხმებით აღნიშნულ წესებს, არ გაქვთ უფლება გამოიყენოთ BulBee-ის პლატფორმა.

წინამდებარე წესები წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას თქვენსა და **შპს „ბალბი ჯგუფს“ (BulBee)** შორის და ვრცელდება პლატფორმის ყველა მომხმარებელზე, მათ შორის სტუდენტებზე, ტუტორებსა და ვებგვერდის ვიზიტორებზე.

2. მომხმარებლის უფლებამოსილება

BulBee-ის პლატფორმაზე ანგარიშის შექმნა შეუძლიათ როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან პირებს წინამდებარე წესებით განსაზღვრული პირობების დაცვით.

ანგარიშის შექმნით თქვენ ადასტურებთ, რომ:

- რეგისტრაციისას წარადგენთ ნამდვილ, ზუსტ და სრულ ინფორმაციას;
- გაქვთ უფლება ისარგებლოთ პლატფორმით წინამდებარე წესების შესაბამისად.

18 წლამდე ასაკის მომხმარებელს უფლება აქვს შექმნას BulBee-ის ანგარიში, იმ პირობით, რომ პლატფორმით სარგებლობა ხორციელდება მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობითა და ზედამხედველობით.

ტუტორის პროფილის შექმნა და პლატფორმაზე სასწავლო მომსახურების შეთავაზება შესაძლებელია მხოლოდ **18 წლის ან მეტი ასაკის** მომხმარებლისთვის.

BulBee უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მომხმარებლის ასაკის ან იდენტობის დამადასტურებელი დამატებითი ინფორმაცია, თუ არსებობს გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არაზუსტია.

თუ დადგინდება, რომ არასრულწლოვანი მომხმარებელი იყენებს პლატფორმას მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ან მომხმარებლის მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილი ინფორმაცია ყალბია ან შეცდომაში შემყვანია, BulBee უფლებამოსილია დროებით შეზღუდოს ან სამუდამოდ გააუქმოს შესაბამისი ანგარიში.

სტუდენტისა და ტუტორის ანგარიშები დამოუკიდებელია. ერთი ანგარიში ერთდროულად ვერ იქნება როგორც სტუდენტის, ისე ტუტორის ანგარიში. თუ მომხმარებელს სურს ისარგებლოს ორივე ფუნქციონალით, იგი ვალდებულია შექმნას თითოეული ტიპის ანგარიში ცალ-ცალკე.

3. ანგარიშის შექმნა და უსაფრთხოება

3.1. სარეგისტრაციო ინფორმაცია

ანგარიშის შექმნისას მომხმარებელი ვალდებულია წარმოადგინოს ზუსტი, სრული და აქტუალური ინფორმაცია და, საჭიროების შემთხვევაში, დროულად განაახლოს იგი.

ყალბი, შეცდომაში შემყვანი ან სხვა პირის მონაცემების გამოყენება წარმოადგენს წინამდებარე წესების დარღვევას.

3.2. ანგარიშის უსაფრთხოება

ანგარიში არის პირადი და მისი გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომლის სახელზეც იგი არის რეგისტრირებული.

მომხმარებელი პასუხისმგებელია თავისი ანგარიშის უსაფრთხოებაზე, პაროლის კონფიდენციალურობის დაცვასა და ანგარიშიდან განხორციელებულ ყველა მოქმედებაზე.

თუ მომხმარებელს გაუჩნდება ეჭვი, რომ მის ანგარიშზე განხორციელდა არასანქცირებული წვდომა ან გამოყენება, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეცვალოს პაროლი და აცნობოს BulBee-ს.

3.3. ერთი ანგარიში თითო მომხმარებლისთვის

ერთ მომხმარებელს უფლება აქვს ჰქონდეს **მხოლოდ ერთი სტუდენტის ანგარიში** და **მხოლოდ ერთი ტუტორის ანგარიში**.

იმავე ტიპის რამდენიმე ანგარიშის შექმნა, მათ შორის ანგარიშის შეზღუდვის, შეჩერების ან სხვა შეზღუდვების გვერდის ავლის მიზნით, აკრძალულია.

3.4. ელფოსტის დადასტურება

პლატფორმის გარკვეული ფუნქციებით სარგებლობისთვის მომხმარებელი ვალდებულია დაადასტუროს რეგისტრაციისას მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი. BulBee უფლებას იტოვებს შეზღუდოს დაუდასტურებელი ანგარიშების ფუნქციონალი ან, საჭიროების შემთხვევაში, გააუქმოს ასეთი ანგარიში.

4. მომხმარებლის ანგარიშების ტიპები

BulBee-ის პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ორი ტიპის ანგარიში:

4.1. სტუდენტის ანგარიში

სტუდენტის ანგარიში მომხმარებელს საშუალებას აძლევს:

- მოძებნოს ტუტორები;
- გაეცნოს ტუტორების პროფილებსა და შეთავაზებებს;
- დაჯავშნოს გაკვეთილები;
- განახორციელოს გადახდა;
- მონაწილეობა მიიღოს ონლაინ გაკვეთილებში;
- დატოვოს შეფასება ჩატარებული გაკვეთილის შემდეგ;
- გამოიყენოს პლატფორმის სხვა ფუნქციები, რომლებიც განკუთვნილია სტუდენტებისთვის.

4.2. ტუტორის ანგარიში

ტუტორის ანგარიში მომხმარებელს საშუალებას აძლევს:

- შექმნას ტუტორის პროფილი;
- მიუთითოს სასწავლო საგანი, ბიოგრაფია, კვალიფიკაცია, საათობრივი ანაზღაურება და სხვა აუცილებელი ინფორმაცია;
- მართოს საკუთარი ხელმისაწვდომობის განრიგი;
- მიიღოს ან უარყოს გაკვეთილების მოთხოვნები;
- ჩაატაროს ონლაინ გაკვეთილები პლატფორმის საშუალებით;
- მიიღოს ანაზღაურება ჩატარებული გაკვეთილებისთვის წინამდებარე წესების შესაბამისად.

5. ტუტორის პროფილი

5.1. ტუტორის პროფილის შექმნა

ტუტორის ანგარიშის შექმნისას მომხმარებელი ვალდებულია შეავსოს BulBee-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

- სახელსა და გვარს;
- პროფილის ფოტოს;
- მოქალაქეობას;

- სასწავლო ენებს;
- სასწავლო საგანს;
- საათობრივ ანაზღაურებას;
- ბიოგრაფიას;
- კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციას;
- საბანკო ანგარიშის (IBAN) მონაცემებს ანაზღაურების მისაღებად.

BulBee უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია ტუტორის პროფილის შესაქმნელად ან შესანარჩუნებლად.

5.2. პროფილის ინფორმაციის სიზუსტე

ტუტორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მის პროფილში მითითებული ინფორმაცია იყოს ზუსტი, სრული და განახლებული.

აკრძალულია:

- ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მითითება;
- ისეთი კვალიფიკაციის, გამოცდილების ან სერტიფიკატის მითითება, რომელსაც ტუტორი რეალურად არ ფლობს;
- სხვა პირის სახელით ან მისი მონაცემების გამოყენებით მომსახურების შეთავაზება.

BulBee უფლებამოსილია დროებით შეზღუდოს ან გააუქმოს ტუტორის პროფილი, თუ აღმოჩნდება, რომ მასში განთავსებული ინფორმაცია არაზუსტია ან არღვევს წინამდებარე წესებს.

5.3. სასწავლო საგანი

ტუტორს უფლება აქვს პლატფორმაზე შესთავაზოს მომსახურება **მხოლოდ ერთი სასწავლო საგნის ფარგლებში**. სასწავლო საგნის შეცვლა ან სხვა საგნის დამატება შესაძლებელია მხოლოდ BulBee-ის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5.4. საათობრივი ანაზღაურება

ტუტორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი მომსახურების საათობრივ ანაზღაურებას. საათობრივი ანაზღაურების ცვლილება ვრცელდება მხოლოდ იმ გაკვეთილებზე, რომლებიც დაიჯავშნება ცვლილების განხორციელების შემდეგ.

5.5. საბანკო ანგარიშის მონაცემები

ტუტორი ვალდებულია მიუთითოს მოქმედი საბანკო ანგარიშის (IBAN) მონაცემები, რათა შესაძლებელი იყოს ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურების ჩარიცხვა. BulBee არ არის პასუხისმგებელი არასწორად მითითებული საბანკო მონაცემების გამო დაგვიანებულ ან წარუმატებელ გადარიცხვაზე. ასეთი პრეცედენტების შემთხვევაში ტუტორი უნდა დაუკავშირდეს Bulbee-ის დახმარების ჯგუფს დახმარების გვერდიდან ან იმეილზე support@bulbee.ge-დან.

5.6. პროფილის გამოქვეყნება

ტუტორის პროფილის შექმნით მომხმარებელი BulBee-ს ანიჭებს უფლებას პლატფორმაზე საჯაროდ განათავსოს ტუტორის პროფილში მითითებული ინფორმაცია, მათ შორის:

- სახელი;
- პროფილის ფოტო;
- ბიოგრაფია;
- სასწავლო საგანი;
- საათობრივი ანაზღაურება;
- სტუდენტების შეფასებები და გამოხმაურებები.

აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ პლატფორმის ფუნქციონირებისა და ტუტორის მომსახურების შეთავაზების მიზნით.

6. გაკვეთილის დაჯავშნა

6.1. დაჯავშნის პროცესი

გაკვეთილის დასაჯავშნად სტუდენტი ტუტორის კალენდარში ირჩევს სასურველ თავისუფალ თარიღსა და დროს და აგზავნის დაჯავშნის მოთხოვნას. დაჯავშნის მოთხოვნა გადახდის წარმატებით დასრულებამდე ინარჩუნებს მოლოდინის სტატუსს. გაკვეთილი საბოლოოდ დადასტურებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი გადახდის დადასტურების შემდეგ.

6.2. ტუტორის ხელმისაწვდომობა

კონკრეტულ თარიღსა და დროის დაჯავშნა შეუძლია მხოლოდ ერთ სტუდენტს. გადახდის წარმატებით დასრულებისა და ჯავშნის დადასტურების შემდეგ აღნიშნული დრო ავტომატურად ჩაიხსნება ხელმისაწვდომი დროების ჩამონათვალიდან და აღარ იქნება შეთავაზებული სხვა მომხმარებლებისთვის.

6.3. გაკვეთილის შექმნა და დადასტურება

გადახდის დადასტურების შემდეგ თითოეული დაჯავშნილი დროისთვის ავტომატურად იქმნება შესაბამისი გაკვეთილი. გაკვეთილისთვის გენერირდება უნიკალური Google Meet-ის შეხვედრის ბმული, რომელიც ეგზავნება როგორც სტუდენტს, ისე ტუტორს რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე. გაკვეთილის თარიღი, დრო, სტატუსი და შეხვედრის ბმული ასევე ხელმისაწვდომია მომხმარებლის პირად მთავარ გვერდზე

7. გადახდები და ანაზღაურება

7.1. გადახდის მომსახურება

პლატფორმაზე განხორციელებული საბარათე გადახდები მუშავდება მესამე მხარის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მეშვეობით. გადახდის პროცესში მომხმარებელი შესაძლოა გადამისამართდეს პროვაიდერს დაცულ საგადახდო გარემოში ან უშუალოდ გამოიყენოს მის მიერ მოწოდებული საგადახდო ინტერფეისი. საბანკო ბარათის მონაცემები, მათ შორის ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი, შეიყვანება უშუალოდ პროვაიდერის სისტემაში. BulBee აღნიშნულ მონაცემებს არ იღებს და არ ინახავს.

7.2. BulBee-ის კრედიტები

თითოეული სტუდენტის ანგარიშზე შესაძლებელია არსებობდეს BulBee-ის კრედიტების ბალანსი. კრედიტები გამოისახება გაკვეთილის ფასისთვის გამოყენებულ იმავე ვალუტაში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი გაკვეთილების საფასურის სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად.

თუ სტუდენტის კრედიტების ბალანსი სრულად ფარავს გადასახდელ თანხას, დამატებითი საბარათე გადახდა საჭირო არ იქნება. კრედიტები სტუდენტის ანგარიშზე ირიცხება მხოლოდ წინამდებარე წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის გაკვეთილის დროულად გაუქმებისას, მე-8 პუნქტის შესაბამისად.

BulBee-ის კრედიტები:

- არ წარმოადგენს ელექტრონულ ფულს ან საბანკო დეპოზიტს;
- არ გააჩნია დამოუკიდებელი ფულადი ღირებულება;
- არ ექვემდებარება სხვა მომხმარებლისთვის გადაცემას;
- არ შეიძლება გაიტანოს ან განაღდდეს ფულის სახით;
- გამოიყენება მხოლოდ BulBee-ის პლატფორმაზე ხელმისაწვდომი მომსახურებების მისაღებად.

7.3. პლატფორმის საკომისიო და ტუტორის ანაზღაურება

BulBee თითოეული ჩატარებული გაკვეთილის საფასურის 20%-ს იტოვებს პლატფორმის მომსახურების საკომისიოს სახით. დარჩენილი 80% წარმოადგენს ტუტორისთვის გადასარიცხ ანაზღაურებას.

ტუტორებისთვის ანაზღაურების ჩარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად. გადასარიცხი თანხა მოიცავს წინა კალენდარული თვის განმავლობაში ჩატარებული გაკვეთილებიდან ტუტორისთვის კუთვნილ ჯამურ ანაზღაურებას, BulBee-ის 20%-იანი საკომისიოს გამოკლებით.

ანაზღაურება ირიცხება ტუტორის პროფილში მითითებულ საბანკო ანგარიშზე. ტუტორი პასუხისმგებელია მის მიერ მითითებული საბანკო მონაცემების სისწორესა და მოქმედებაზე.

7.4. წარუმატებელი გადახდა

თუ საბარათე გადახდა ვერ დასრულდა ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა ტრანზაქცია უარყო:

- გაკვეთილი არ ჩაითვლება დადასტურებულად;
- გაკვეთილისთვის შეხვედრის ბმული არ შეიქმნება;
- დროებით დაკავებული დრო კვლავ ხელმისაწვდომი გახდება;
- მომხმარებელს შეეძლება გადახდის ხელახლა განხორციელება, თუ შესაბამისი დრო კვლავ თავისუფალია.

7.5. გადახდასთან დაკავშირებული პრეტენზია

თუ მომხმარებელი მიიჩნევს, რომ თანხა არასწორად ჩამოეჭრა, მან უნდა მიმართოს BulBee-ის მხარდაჭერის გუნდს support@bulbee.ge - ზე, გადახდის განხორციელებიდან არაუგვიანეს 14 დღის განმავლობაში.

მოთხოვნაში სასურველია მიეთითოს:

- მომხმარებლის სახელი და რეგისტრირებული ელფოსტა;
- ტრანზაქციის თარიღი;
- გადახდილი თანხა;
- შესაბამისი გაკვეთილის დეტალები;
- პრობლემის მოკლე აღწერა.

BulBee შეისწავლის წარმოდგენილ ინფორმაციას და, შეცდომის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამის თანხას დააბრუნებს მომხმარებლის კრედიტების ბალანსზე ან თავდაპირველი გადახდის მეთოდით. თანხის დაბრუნება განხორციელდება საკითხის დადასტურებიდან არაუგვიანეს 14 სამუშაო დღის განმავლობაში, თუმცა საბანკო ანგარიშზე თანხის ასახვის ვადა შესაძლოა დამოკიდებული იყოს შესაბამის ბანკსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერზე.

7.6. თანხის დაბრუნება

შეძენილი სასწავლო მომსახურების საფასური მომხმარებლის საბანკო ანგარიშზე უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

გაკვეთილის გაუქმების შემთხვევაში, გადახდილი ღირებულება მომხმარებელს აუნაზღაურდება **BulBee-ის კრედიტების** სახით, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია პლატფორმაზე მომავალი გაკვეთილების საფასურის სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად.

8. გაკვეთილის გაუქმება და გადატანა

8.1. სტუდენტის მიერ დროული გაუქმება

თუ სტუდენტი გაკვეთილს გააუქმებს მის დაგეგმილ დაწყებამდე სულ მცირე 6 საათით ადრე, გაკვეთილისთვის გადახდილი თანხა სრულად დაბრუნდება სტუდენტის BulBee-ის კრედიტების ბალანსზე. ტუტორს გაუქმების შესახებ ეცნობება პლატფორმის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით და აღნიშნული გაკვეთილისთვის ანაზღაურება არ დაერიცხება.

8.2. სტუდენტის მიერ დაგვიანებული გაუქმება

თუ სტუდენტი გაკვეთილს გააუქმებს მის დაგეგმილ დაწყებამდე 6 საათზე ნაკლები დროით ადრე, გადახდილი თანხა ან კრედიტი დაბრუნებას არ ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში ტუტორს უფლება აქვს მიიღოს გაკვეთილისთვის გათვალისწინებული სრული ანაზღაურება, რადგან შესაბამისი დრო მის განრიგში სტუდენტისთვის იყო გამოყოფილი და შესაძლოა აღარ იყოს შესაძლებელი მისი სხვა სტუდენტისთვის შეთავაზება.

8.3. სტუდენტის მიერ გაკვეთილის გადატანა

სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს გაკვეთილის სხვა დროს გადატანა, თუ:

- მოთხოვნა წარმოდგენილია თავდაპირველად დაგეგმილ დაწყებამდე სულ მცირე 6 საათით ადრე;
- ტუტორის კალენდარში ხელმისაწვდომია შესაბამისი თავისუფალი დრო;
- ახალი დრო დადასტურებულია პლატფორმის საშუალებით.

გაკვეთილის დაწყებამდე 6 საათზე ნაკლები დროის დარჩენის შემთხვევაში გადატანა სტუდენტის მხრიდან არ არის შესაძლებელი. თუმცა ეს შესაძლებელია ტუტორთან მოლაპარაკების შემთხვევაში, ტუტორის მხრიდან.

9. გაკვეთილების ჩატარება

9.1. Google Meet-ის გამოყენება

დადასტურებული ონლაინ გაკვეთილი ტარდება სპეციალურად შექმნილ Google Meet-ის შეხვედრის სივრცეში. შეხვედრის ბმული ეგზავნება სტუდენტსა და ტუტორს ელექტრონული ფოსტის საშუალებით და ასევე ხელმისაწვდომია მათ პირად მთავარ გვერდებზე.

BulBee შეხვედრის სივრცეს ქმნის და ტექნიკურად მართავს Google-ის გამოყენებით. ვიდეოკომუნიკაციის უშუალო მომსახურება ხორციელდება Google-ის ინფრასტრუქტურის საშუალებით და ექვემდებარება Google-ის შესაბამის მომსახურების პირობებსა და კონფიდენციალურობის წესებს.

9.2. ტექნიკური მოთხოვნები და შეფერხებები

სტუდენტი და ტუტორი თავად არიან პასუხისმგებელი გაკვეთილში მონაწილეობისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფაზე, მათ შორის:

- გამართულ მოწყობილობაზე;
- სტაბილურ ინტერნეტკავშირზე;
- მოქმედ მიკროფონსა და, საჭიროების შემთხვევაში, კამერაზე;
- Google Meet-თან თავსებად ბრაუზერსა ან პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

თუ მომხმარებელი გაკვეთილს ვერ დაესწრება მის მხარეს არსებული ტექნიკური პრობლემის გამო, აღნიშნული გარემოება, როგორც წესი, არ წარმოადგენს თანხის ან კრედიტის დაბრუნების საფუძველს.

თუ გაკვეთილის ჩატარება შეუძლებელი გახდა BulBee-ის ან Google Meet-ის დადასტურებული ტექნიკური შეფერხების გამო, მომხმარებელმა მხარდაჭერის გუნდს უნდა მიმართოს გაკვეთილის დაგეგმილი დროიდან 24 საათის განმავლობაში.

საკითხის დადასტურების შემთხვევაში BulBee-ს შეუძლია:

- დააბრუნოს გაკვეთილის საფასური კრედიტების სახით;
- უზრუნველყოს გაკვეთილის გადატანა;
- შესთავაზოს სხვა გონივრული გადაწყვეტა.

10. შეფასებები და გამოხმაურებები

10.1. შეფასების დატოვების უფლება

ტუტორის შეფასების დატოვება შეუძლია მხოლოდ იმ სტუდენტს, რომელსაც შესაბამის ტუტორთან ჩატარებული აქვს სულ მცირე ერთი დადასტურებული გაკვეთილი. თითოეულ სტუდენტს ერთი ტუტორისთვის შეუძლია დატოვოს მხოლოდ ერთი მოქმედი შეფასება.

10.2. შეფასების შინაარსი

შეფასება უნდა იყოს კეთილსინდისიერი, სამართლიანი და ეფუძნებოდეს სტუდენტის რეალურ სასწავლო გამოცდილებას.

დაუშვებელია:

- ყალბი ან შეცდომაში შემყვანი შეფასების განთავსება;
- შეურაცხმყოფელი, მუქარის შემცველი ან დისკრიმინაციული შინაარსის გამოქვეყნება;
- ცილისმწამებლური ან ფაქტობრივად უსაფუძვლო განცხადებების გავრცელება;
- შეფასების დატოვება ან შეცვლა ანაზღაურების, ფასდაკლების, საჩუქრის ან სხვა სარგებლის სანაცვლოდ;
- შეფასების გამოყენება პირადი კონფლიქტის მოსაგვარებლად, თუ კონფლიქტი არ უკავშირდება ტუტორის მიერ გაწეულ სასწავლო მომსახურებას;
- სხვა პირის პერსონალური ან საკონტაქტო მონაცემების გამოქვეყნება.

10.3. შეფასების მოდერაცია

BulBee უფლებამოსილია შეამოწმოს, დამალოს ან წაშალოს შეფასება, თუ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი:

- არღვევს წინამდებარე წესებს;
- შეიცავს უკანონო ან აშკარად შეუსაბამო შინაარსს;

- არ ეფუძნება რეალურ გაკვეთილს;
- შეიცავს პერსონალურ მონაცემებს;
- მიზნად ისახავს მომხმარებლის შევიწროებას ან რეპუტაციის უსაფუძვლოდ შელახვას.

ტუტორს უფლება აქვს სადავო შეფასების შესახებ მიმართოს BulBee-ის მხარდაჭერის გუნდს support@bulbee.ge-ზე, რის შემდეგაც მოთხოვნა განიხილება ინდივიდუალურად.

11. ჩატი და მომხმარებელთა კომუნიკაცია

11.1. ჩატის დანიშნულება

BulBee-ის შიდა ჩატი განკუთვნილია სტუდენტსა და ტუტორს შორის პლატფორმის მომსახურებასთან დაკავშირებული კომუნიკაციისთვის.

ჩატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- გაკვეთილის თემისა და სასწავლო მიზნების შესათანხმებლად;
- განრიგთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაზიარებლად;
- სასწავლო მასალის ან დავალების განსახილველად;
- გაკვეთილთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად.

11.2. აკრძალული კომუნიკაცია

ჩატის გამოყენებისას დაუშვებელია:

- შეურაცხმყოფელი, მუქარის შემცველი, დისკრიმინაციული ან დამამცირებელი შეტყობინებების გაგზავნა;
- სხვა მომხმარებლის შევიწროება ან დაშინება;
- უკანონო, ძალადობრივი ან სხვაგვარად საზიანო შინაარსის გაგზავნა ან მოთხოვნა;
- არასასურველი რეკლამის, კომერციული შეთავაზებების ან სპამის გავრცელება;
- მავნე ფაილების, პროგრამული კოდის ან საეჭვო ბმულების გაგზავნა;
- მესამე პირის პერსონალური მონაცემების მისი თანხმობის გარეშე გაზიარება;
- პლატფორმის გვერდის ავლით გაკვეთილების ორგანიზების მიზნით ტელეფონის ნომრის, პირადი ელფოსტის, სოციალური ქსელის ანგარიშის ან სხვა საკონტაქტო ინფორმაციის გაზიარება.

12. მომხმარებელთა მხარდაჭერა

მომხმარებელს შეუძლია BulBee-ის მხარდაჭერის გუნდს მიმართოს პლატფორმაზე არსებული დახმარების ფუნქციის ან ოფიციალური საკონტაქტო ელფოსტის საშუალებით. მხარდაჭერის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს პრობლემის გასაგებად და შესასწავლად საჭირო ინფორმაციას.

BulBee შეეცდება მხარდაჭერის მოთხოვნას უპასუხოს მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში. რთული საკითხის ან დამატებითი მოკვლევის საჭიროების შემთხვევაში განხილვის ვადა შესაძლოა გაიზარდოს, რის შესახებაც მომხმარებელს მიეწოდება შესაბამისი ინფორმაცია.

მხარდაჭერის მოთხოვნის განხილვის შედეგად BulBee-ს შეუძლია:

- გასცეს განმარტება ან ტექნიკური რეკომენდაცია;
- გამოასწოროს ანგარიშთან ან ჯავშანთან დაკავშირებული შეცდომა;
- გააუქმოს ან გადაიტანოს გაკვეთილი;
- დააბრუნოს თანხა ან კრედიტი წინამდებარე წესების შესაბამისად;
- შეზღუდოს ან აღადგინოს ანგარიშის ფუნქციონალი;
- მიიღოს სხვა გონივრული გადაწყვეტილება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

13. აკრძალული ქმედებები

BulBee-ის გამოყენებისას მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად და დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა.

მომხმარებელს ეკრძალება:

- სხვა პირის სახელით მოქმედება ან საკუთარი ვინაობის შესახებ ყალბი ინფორმაციის წარმოდგენა;
- სხვა პირის ანგარიშის, პერსონალური მონაცემების ან საიდენტიფიკაციო ინფორმაციის გამოყენება შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე;
- პლატფორმის გამოყენება უკანონო, თაღლითური ან შეცდომაში შემყვანი მიზნებისთვის;
- პლატფორმის უსაფრთხოების სისტემების გვერდის ავლა ან მათი გვერდის ავლის მცდელობა;
- სხვა მომხმარებლის ანგარიშზე, BulBee-ის სისტემებზე ან მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის მოპოვება;
- ვირუსის, მავნე პროგრამის, დესტრუქციული კოდის ან სხვა ტექნოლოგიური საფრთხის გავრცელება;
- პლატფორმის მუშაობის შეფერხება, გადატვირთვა ან დაზიანება;
- BulBee-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე პლატფორმის რევერს-ინჟინერია, დეკომპილაცია ან პროგრამული უზრუნველყოფის კოდის მოპოვების მცდელობა;
- პლატფორმის შინაარსის მასობრივი შეგროვება, სკრეიპინგი, კოპირება ან ხელახალი გამოქვეყნება;
- ავტომატიზებული პროგრამების, ბოტების ან სკრიპტების გამოყენება პლატფორმასთან ურთიერთობისთვის, გარდა BulBee-ის მიერ წერილობით ნებადართული შემთხვევებისა;
- პლატფორმაში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზის პირადი სარგებლისთვის გამოყენება;
- BulBee-ის სახელის, ლოგოს ან სხვა ბრენდული ელემენტების გამოყენება შესაბამისი ნებართვის გარეშე;
- ისეთი მოქმედების განხორციელება, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს სხვა მომხმარებელს, BulBee-ს ან მესამე პირს.

პლატფორმაში უსაფრთხოების ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მომხმარებელმა ამის შესახებ პასუხისმგებლიანად უნდა შეატყობინოს BulBee-ის მხარდაჭერის გუნდს და თავი შეიკავოს ხარვეზის გამოყენების ან საჯაროდ გავრცელებისგან.

14. BulBee-ის სტატუსი და როლი

BulBee წარმოადგენს ტექნოლოგიურ და შუამავალ პლატფორმას, რომელიც სტუდენტებს დამოუკიდებელ ტუტორებთან აკავშირებს და უზრუნველყოფს გაკვეთილების მოძიების, დაჯავშნის, კომუნიკაციისა და გადახდის ტექნიკურ ინფრასტრუქტურას.

ტუტორები წარმოადგენენ დამოუკიდებელ მომსახურების მიმწოდებლებს.

BulBee:

- არ არის ტუტორების დამსაქმებელი;
- არ ქმნის ტუტორებთან შრომით ურთიერთობას;
- არ წარმოადგენს ტუტორების აგენტს ან კანონიერ წარმომადგენელს;
- არ განსაზღვრავს ტუტორის სწავლების მეთოდს;
- არ იძლევა კონკრეტული სასწავლო შედეგის მიღწევის გარანტიას.

ტუტორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს:

- მომსახურების საფასურს;
- ხელმისაწვდომ სამუშაო დროს;
- სასწავლო მიდგომასა და მეთოდოლოგიას;
- გაკვეთილის შინაარსს, სტუდენტთან შეთანხმებული მიზნების ფარგლებში.

BulBee უფლებამოსილია განსაზღვროს პლატფორმაზე მოქმედი ტექნიკური, უსაფრთხოების, ეთიკური და მომსახურების სტანდარტები. BulBee არ იძლევა აბსოლუტურ გარანტიას ტუტორის პროფილში მითითებული ინფორმაციის სიზუსტის, კონკრეტული გაკვეთილის ხარისხის ან სტუდენტის მიერ სასურველი შედეგის მიღწევის შესახებ.

სტუდენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას ტუტორის არჩევის თაობაზე, მის პროფილში განთავსებული ინფორმაციის, ფასის, ხელმისაწვდომობისა და შეფასებების გათვალისწინებით.

15. ინტელექტუალური საკუთრება

15.1. BulBee-ის ინტელექტუალური საკუთრება

BulBee-ის პლატფორმა და მასთან დაკავშირებული ყველა ელემენტი, მათ შორის:

- სახელწოდება;
- ლოგო;
- სავაჭრო ნიშნები;

- ვებგვერდის დიზაინი;
- პროგრამული უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზის სტრუქტურა;
- ტექსტები, გრაფიკული ელემენტები და ინტერფეისი;
- პლატფორმის ტექნიკური ფუნქციონალი,

წარმოადგენს BulBee-ის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის ინტელექტუალურ საკუთრებას და დაცულია მოქმედი კანონმდებლობით. წინამდებარე წესები მომხმარებელს არ ანიჭებს BulBee-ის ინტელექტუალური საკუთრების ფლობის ან შეუზღუდავად გამოყენების უფლებას. მომხმარებელს ენიჭება მხოლოდ შეზღუდული, პირადი, არაექსკლუზიური და გაუცემელი უფლება გამოიყენოს პლატფორმა მისი პირდაპირი დანიშნულების შესაბამისად.

17. ანგარიშის შეჩერება და შეწყვეტა

17.1. ანგარიშის დახურვა მომხმარებლის მიერ

მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საკუთარი ანგარიშის დახურვა BulBee-ის მხარდაჭერის გუნდთან დაკავშირების გზით.

ანგარიშის დახურვამდე მომხმარებელი ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ:

- ანგარიშის დახურვა ავტომატურად არ აუქმებს უკვე დადასტურებულ გაკვეთილებს;
- მომხმარებელი კვლავ პასუხისმგებელია უკვე მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე;
- ტუტორისთვის გადასახდელი უკვე გამომუშავებული ანაზღაურება დამუშავდება მოქმედი წესების შესაბამისად;
- კანონით ან სამართლებრივი ინტერესით გათვალისწინებული მონაცემები შესაძლოა ანგარიშის დახურვის შემდეგაც შეინახოს BulBee-მ შესაბამისი ვადით.

17.2. ანგარიშის შეზღუდვა ან დახურვა BulBee-ის მიერ

BulBee უფლებამოსილია დროებით შეზღუდოს, შეაჩეროს ან სამუდამოდ დახუროს მომხმარებლის ანგარიში, თუ მომხმარებელი:

- არღვევს წინამდებარე წესებს;
- რეგისტრაციისას ან პროფილში უთითებს ყალბ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას;
- იყენებს სხვა პირის მონაცემებს შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე;
- მონაწილეობს თაღლითურ, უკანონო, მუქარის შემცველ ან შეურაცხმყოფელ საქმიანობაში;
- ცდილობს პლატფორმის უსაფრთხოების სისტემების გვერდის ავლას;
- პლატფორმის გარეთ ორგანიზებას უწევს მომსახურებას BulBee-ის გვერდის ავლის მიზნით;
- ზიანს აყენებს სხვა მომხმარებელს, BulBee-ს ან მესამე პირს;
- არ ასრულებს სასამართლოს, მარეგულირებელი ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს კანონიერ მოთხოვნას.

გადაუდებელი უსაფრთხოების, თაღლითობის ან კანონდარღვევის რისკის არსებობის შემთხვევაში BulBee-ს შეუძლია ანგარიში დაუყოვნებლივ შეზღუდოს წინასწარი შეტყობინების გარეშე.

სხვა შემთხვევებში BulBee შეეცდება მომხმარებელს აცნობოს შეზღუდვის მიზეზი და, გარემოებების გათვალისწინებით, მისცეს განმარტების წარმოდგენის ან დარღვევის გამოსწორების შესაძლებლობა.

BulBee უფლებამოსილია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, თუ მისი გამჟღავნება:

- კანონით არის აკრძალული;
- ხელს შეუშლის მიმდინარე გამოძიებას;
- საფრთხეს შეუქმნის პლატფორმის ან სხვა მომხმარებლის უსაფრთხოებას.

17.3. ანგარიშის შეწყვეტის შედეგები

ანგარიშის საბოლოოდ დახურვის შემდეგ მომხმარებელი კარგავს პლატფორმისა და შესაბამისი ფუნქციების გამოყენების უფლებას.

მიმდინარე გაკვეთილები გაუქმდება ან დამუშავდება წინამდებარე წესების მე-8 პუნქტისა და კონკრეტული გარემოებების შესაბამისად.

ანგარიშზე დარჩენილი კრედიტების მიმართ გადაწყვეტილება მიიღება მათი წარმოშობის, ანგარიშის შეწყვეტის მიზეზისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ის დებულებები, რომლებიც თავისი ბუნებით ანგარიშის დახურვის შემდეგაც უნდა დარჩეს ძალაში, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების, პასუხისმგებლობის, დავების გადაწყვეტისა და მონაცემთა შენახვის შესახებ პირობები, განაგრძობს მოქმედებას.

18. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული მაქსიმალური ფარგლებით, BulBee-ის ჯამური პასუხისმგებლობა მომხმარებლის წინაშე, წინამდებარე წესებთან ან პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნის საფუძველზე, არ უნდა აღემატებოდეს მომხმარებლის მიერ BulBee-ისთვის შესაბამისი მოთხოვნის წარმოშობამდე ბოლო 3 თვის განმავლობაში გადახდილ ჯამურ თანხას.

BulBee არ არის პასუხისმგებელი:

- ტუტორის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე, მეთოდზე ან კონკრეტულ სასწავლო შედეგზე;
- სტუდენტის ან ტუტორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტეზე;
- მომხმარებლის მოწყობილობის, პროგრამული უზრუნველყოფის ან ინტერნეტკავშირის გაუმართაობაზე;
- მესამე მხარის მომსახურებების, მათ შორის Flitt-ის, Google Meet-ის, Gmail-ის ან ჰოსტინგის პროვაიდერის შეფერხებაზე;

- მომხმარებლის მიერ საკუთარი ანგარიშის მონაცემების ან პაროლის არასათანადოდ დაცვით გამოწვეულ ზიანზე;
- მომხმარებლებს შორის პლატფორმის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ შეთანხმებებსა და ურთიერთობებზე;
- არაპირდაპირ, შემთხვევით, თანმდევ ან განსაკუთრებულ ზიანზე;
- შემოსავლის, მონაცემების, შესაძლებლობის ან მოსალოდნელი სარგებლის დაკარგვაზე;
- BulBee-ის გონივრულ კონტროლს მიღმა არსებულ გარემოებებზე.

ამ პუნქტში არაფერი გამორიცხავს ან ზღუდავს ისეთ პასუხისმგებლობას, რომლის გამორიცხვა ან შეზღუდვა საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია.

19. ზიანის ანაზღაურება

მომხმარებელი თანხმდება, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, აანაზღაუროს BulBee-ისთვის მიყენებული დასაბუთებული ზიანი და ხარჯი, თუ ისინი უშუალოდ წარმოიშვა:

- მომხმარებლის მიერ წინამდებარე წესების დარღვევის შედეგად;
- პლატფორმის უკანონო ან არაკეთილსინდისიერი გამოყენების შედეგად;
- მომხმარებლის მიერ მესამე პირის უფლებების დარღვევის შედეგად;
- მომხმარებლის მიერ განთავსებული უკანონო ან უფლებების დამრღვევი კონტენტის შედეგად;
- მომხმარებლის თაღლითური ან განზრახ საზიანო მოქმედების შედეგად.

ასეთი ხარჯი შესაძლოა მოიცავდეს გონივრულ სამართლებრივ და საადვოკატო ხარჯებს, თუ მათი დაკისრება დასაშვებია მოქმედი კანონმდებლობით.

BulBee მომხმარებელს გონივრულ ვადაში აცნობებს შესაბამისი პრეტენზიის შესახებ და მისცემს შესაძლებლობას წარმოადგინოს განმარტება ან მონაწილეობა მიიღოს საკითხის გადაწყვეტაში, როდესაც ეს პრაქტიკულად და სამართლებრივად შესაძლებელია.

20. მოქმედი სამართალი და დავების გადაწყვეტა

წინამდებარე წესები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ მომხმარებელს აქვს პრეტენზია BulBee-ის მომსახურებასთან დაკავშირებით, მან პირველ რიგში უნდა მიმართოს BulBee-ის მხარდაჭერის გუნდს და წარმოადგინოს საკითხის გასაგებად საჭირო ინფორმაცია.

BulBee შეეცდება პრეტენზია განიხილოს და შესაბამისი პასუხი გასცეს მისი მიღებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

მხარეები შეეცდებიან დავა თავდაპირველად მოაგვარონ კეთილსინდისიერი მოლაპარაკების გზით.

თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდება, დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოებში, კანონით განსაზღვრული განსჯადობის წესების შესაბამისად.

წინამდებარე პუნქტი არ ზღუდავს მომხმარებლის უფლებას მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესაბამის ორგანოს ან სხვა უფლებამოსილ დაწესებულებას, როდესაც მას ასეთი უფლება მოქმედი კანონმდებლობით აქვს მინიჭებული.

21. წესებში ცვლილებების შეტანა

BulBee უფლებამოსილია პერიოდულად განაახლოს ან შეცვალოს წინამდებარე წესები, მათ შორის:

- კანონმდებლობის ცვლილების გამო;
- პლატფორმის ფუნქციონალის განახლების გამო;
- ახალი მომსახურების დამატების გამო;
- უსაფრთხოების ან ტექნიკური მოთხოვნების გამო;
- მომხმარებელთა ინტერესებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

განახლებული წესები გამოქვეყნდება BulBee-ის ვებგვერდზე და მათზე მიეთითება შესაბამისი ძალაში შესვლის თარიღი.

თუ ცვლილება არსებით გავლენას ახდენს მომხმარებლის უფლებებსა ან ვალდებულებებზე, BulBee მომხმარებელს აცნობებს ელექტრონული ფოსტის ან პლატფორმაზე განთავსებული შეტყობინების საშუალებით, ცვლილებების ძალაში შესვლამდე სულ მცირე 14 დღით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილების დაუყოვნებლივ განხორციელება აუცილებელია კანონის, უსაფრთხოების ან გადაუდებელი ტექნიკური მიზეზით.

ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ პლატფორმის გამოყენების გაგრძელება ჩაითვლება განახლებული წესების მიღებად.

თუ მომხმარებელი არ ეთანხმება განახლებულ წესებს, მან უნდა შეწყვიტოს პლატფორმის გამოყენება და შეუძლია მოითხოვოს ანგარიშის დახურვა.

22. საკონტაქტო ინფორმაცია

წინამდებარე წესებთან, პლატფორმის გამოყენებასთან, გადახდებთან ან მომხმარებლის ანგარიშთან დაკავშირებული შეკითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ BulBee-ს შემდეგი საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით:

კომპანია: შპს „ბალბი ჯგუფი“
ბრენდი: BulBee
ვებგვერდი: bulbee.ge
მისამართი: თბილისი, საქართველო
ელექტრონული ფოსტა: info@bulbee.ge

BulBee-ის მხარდაჭერის გუნდთან კომუნიკაციისას მომხმარებელმა სასურველია გამოიყენოს იმავე ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომლითაც რეგისტრირებულია პლატფორმაზე.